საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. კვირა, 9 მარტი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ერთობა

ფასი 75 კაპ.

გაზ. „ერთობის“: 1 თვით 18 მანეთი ცალკე ნომერი ფასდება 75 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოიტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საჭიროების მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერისთვის ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში მორიგი თანამშრომელი ხვდება შემოსულებს 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 55 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 55

ქვრივი მაკრინე ჩიჩავას ასული კვერნაძისა, და დეკანოზი ივანეს ასული კვერნაძე, ბიძაშვილი ალექსანდრე ბიჭილის ძე თოფურია, ცოლის ძმის შვილი ვლადიმერ მიხეილის ძე ჩიჩავა აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგებს რომ კვირას ცხრა მარტს 12 საათზე ქალაქ თფილისში კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარის

**მიხა ივანეს ძე კვერნაძის**

სულის მოსახსენებლად. (2—2)

გულდამწვარი მეუღლე ლუიზა ჯგუშიასი, ძმის წული პარასკევა, სიძე პლატონი ყიფიანები და რძალი მარიამ ჯგუშიასი ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქ. ზუგდიდში 5 მარტს გარდაიცვალა

**კიმოთე (უშა) გიორგის ძე ჯგუშია**

(2—2)

მიხეილ და ნიკოლოზ დავითის ძენი მამულაიშვილები და მათი ცოლ-შვილნი, პელაგია დავითის ასული მაჩინაიშვილისა და სოფიო დავითის ასული დოლევსკასა, სიძენი—ნიკიფორე ესეს ძე მამინაიშვილი და გიორგი ევგენის ძე დოლევსკი შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ პარასკევს დილით გარდაიცვალა პირველთა უძვირფასესი დედა და უკანასკნელთა სიდედრი და ბებია

**ეკა ალმასხანის ასული მამულაიშვილისა**

დასაფლავება მოხდება კვირას, 9 მარტს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე სადაც იქნება გარდახდილი წირვა. სახლიდან (ვაკე, ბინა მე-8 გიმნაზიის ყოფილი სასულიერო სემინარია—ინსპექტორის ნიკიფორე ი. მამინაიშვილისა) გამოსვენება კვირას, დილის 9 საათზე. პანაშვიდები პარასკევს და შაბათს, საღამოს 5 საათზე. (2—2)

ღრმათ დამწუხრებულნი დედა მაკრინე, მეუღლე მარიამი, შვილები: თამარა, ნინა, სვიმონი, ეკატერინე და ელისაბედ, ძმა ვასილი, რძლები მარიამი და ბარბარე ლადიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 6 მარტს თათრებთან შეტაკების დროს ახალციხის ფრონტზე მოკლულ იქმნა სახალხო გვარდიელი

**პეტრე ივანეს ძე ლაღიძე**

რომლის გასვენება სოფ. ხაშმში მოხდება კვირას 9 მარტს დილის 9 საათ.

ღრმათ მწუხარენი დაი ანნა (ნუშო) და სიძე ანდრია ქიბროშვილები აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 6 მარტს ახალციხის ფრონტზე თათრებთან შეტაკების დროს მოკლულ იქმნა სახ. გვარდიელი

**პეტრე ივანეს ძე ლაღიძე.**

გამოსვენება სოფელ ხაშმში კვირას 9 მარტს დილის 9 საათზე.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი მწუხარებით აუწყებს სახალხო გვარდიელებს და მოქალაქეთ, რომ ახალციხეზე შეტევის დროს გმირულად მოკლულ ხაშმის რაიონის გვარდიელებს რწმუნებულის

**პეტრე ივანეს ძე ლაღიძის**

გვამის გასვენება სოფ. ხაშმში მოხდება დღეს, 9 მარტს, დილის 9 საათზე თფილისის რკინის გზის სადგურიდან. (1—1)

საამშენებლო პროფესიის მუშათა პროფესიონალური კავშირი აუწყებს ნათესავთ და ამხანაგებს კავშირის თავმჯდომარის

**ალექსანდრე ზაქარიას ძე თვალიაშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 9 მარტს დილის 10 საათზე საკუთარ სახლიდან (ხუდადოვის ქ. № 6) ნაძალადევის ეკლესიაში, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. ვსთხოვთ ყველა კავშირის წევრებს დაესწრონ დასაფლავებას. (1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე სოფიო გიორგის ასული და შვილები ქეთო და ლიოვა თვალიაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მათი ძვირფასი

**ალექსანდრე ზაქარიას ძე თვალიაშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას 9 მარტს, დილის 10 საათზე საკუთარ სახლიდან (ხუდადოვის ქუჩა № 6). დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭო აუწყებს ამხანაგ მუშებსა და მოქალაქეთ, რომ კვირას, 9 მარტს დილის 10 საათზე მოხდება დაკრძალვა ყოფილ ცენტრალური საბჭოს წევრის ამხანაგ

**ალექსანდრე ზაქარიას ძე თვალიაშვილისა**

დასაფლავება წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოასვენებენ ნაძალადევიდან (ხუდადოვის ქუჩა მოედნის პირდაპირ)

## დამფუძნებელი კრებისათვის

სამ დღეში შეიკრიბება დამფუძნებელი კრება. ხალხის რწმუნებულნი, ხალხის სიგანგებო ნდობით აღჭურვილნი უნდა შეუდგნენ ქვეყნის მოწყობას და მისი მომავალი წყობილების შემუშავებას.

დამფუძნებელ კრების მთავარი ფუნქცია—მთავარი მოვალეობა—კონსტიტუციის შემუშავებაა, ესე იგი იმ წესების დამყარება, რომლის მიხედვით და რომლის ფარგლებში მომავალში იმუშავებს მთავრობა და პარლამენტი ხალხის საკეთილდღეოთ.

დამფუძნებელი კრება—ეს, არ ვთქვათ, მთელი ხალხის ურთიერთგან დადებული პირობაა, რომ მომავალში უზრუნველჰყონ ერთმანეთისთვის მოქალაქობრივი უფლებები, რომ თვითეულს მიეცეს საშუალება იცოდეს თავის უფლება და მოვალეობა.

მაგრამ დამფუძნებელი კრება დღეს განსაკუთრებულ მდგომარეობაში იკრიბება. იგი რევოლიუციის ტალღებმა წარმოშვეს და მათ ტრიალს უნდა ემსახუროს.

ამიტომ იგი უნდა პატრონათ მოევლინოს მოუწყობელ ქვეყანას და მასში წესრიგი დამყაროს. ეს არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვინემ თვით კონსტიტუცია. კიდევ მეტი, ეს საფუძველია თვით კონსტიტუციის. ხალხი ადგენს კონსტიტუციაში, მომავალ დროის ასე და ასე მოვიქცეთო. მაგრამ რომ არ მოიქცეს, გამკითხავი ვინაა? ხალხს ვით ბატონი არავინაა და თუ ის თვითონ დაარღვევს თავის სიტყვას, ამით მხოლოდ არევ დარევას შეიტანს თავის ცხოვრებაში, ან ახალ რევოლიუციას მოახდენს.

ამიტომ საქმე კონსტიტუციის დაწესებაში კი არაა, არამედ მისთვის ნიადაგის მომზადებაში.

და აი ამას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება. ჩვენ გვინდა, რომ საქართველოში დემოკრატიის ბატონობა იყოს უზრუნველყოფილი. კანონებს, სადაც ეს გამოხატული იქნება, ადვილად დავსწერთ, მაგრამ, რომ ეს კანონები ქაღალდზე დარჩეს, ამის მოწყობა კი ასე ადვილი არაა.

ამისთვის საჭიროა თვით დემოკრატია გალონიერდეს. მან რეალურათ, ცხოვრებაში შექნას ისეთი ორგანიზაციები, რომელიც უზრუნველჰყოფს დემოკრატიულ კანონების ცხოვრებაში გატარებას.

მოვიყვან უბრალო მაგალითს. ვინ არ იცის, რომ მექრთამეობა აკრძალულია, მაგრამ მოხელენი მაინც იღებენ ქრთამს. მთავრობა ამას ებრძვის და დღემდე ვერ აღმოუფხვრია. მაშ რას გვიშველის კანონი, თუ ცხოვრებაში ამ სენს ბოლო ვერ მოვუღეთ?

დამფუძნებელი კრებაც ასე უნდა მოიქცეს, ჯერ უნდა დავამზადოთ ნიადაგი, შემდეგ დავსწეროთ კონსტიტუცია. დაწერა ერთ დღეში შეიძლება, განხორციელებას კი წლები უნდა. ამიტომ დამფუძნებელი კრების მთავარი მუშაობა უნდა აქეთკენ იყოს მიქცეული.

პირველი და მთავარი მოვალეობა დამფუძნებელ კრებისა,—ეს იქნება—შექმნა ახალი მმართველობის და გამარტივება მისი, მეორე და არა ნაკლები.—გაჯანსაღება ადმინისტრაციის, აღმოფხვრა მასში გაბატონებულ ბოროტმოქმედების და დამყარება ნამდვილი თავისუფლების, რომელიც ერთი მხრით თვითნებობათ და ბოროტების წყაროთ არ იქცევა და მეორე მხრით ფალავო და ჰუმანო შეზღუდვას არ განიცდის მართველობისაგან.

ჩვენ არას ვამბობთ ფინანსების და სხვა სახელმწიფო საქმეების მოწესრიგების შესახებ. ეს თავისთავად ცხადია და აშკარაა. ჩვენ გვინდა მხოლო ხაზი გავუსვათ ამ ჟამათ ერთ გარემოებას. დამფუძნებელი კრება 130 კაცისაგან შესდგება. ცხადია ამათ ყველაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. დიდი საქმე ახალი წყობილების დაფუძნებისა უნდა იკისროს მთელმა ხალხმა. ყველა შეგნებულმა მოქალაქემ, მთელ დემოკრატიამ უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა იმის განხორციელებაში, რასაც ხალხის სახელის და მისი სურვილის თანახმად დაადგენ ეს 130 რწმუნებული. მხოლოდ ამ შეერთებული მუშაობით შეიძლება საქმის მოგვარება. დამფუძნებელი კრება წარმომადგენელია ხალხის, მაგრამ იგი ამავე დროს ეყრდნობა თვით ხალხს. დამფუძნებელი კრება მოწოდებულია შექმნას ახალი წყობილება, მაგრამ იგი ამაში ეფუძნება ხალხის შეგნებული ნაწილის შემოქმედებითი მუშაობას.

დამფუძნებელ კრების მუშაობა დიდი რევოლიუციური მუშაობაა, მრავალწლოვან ბრძოლის დაგვირგვინებაა. მაგრამ იგი, ვით ბრძოლის შვილი, თვითონაც იბრძვის ცხოვრების ისეთ კალაპოტში ჩასაყენებლათ, რომელიც ხალხის ინტერესების სასარგებლო იქნება.

ამ ბრძოლაში დამფუძნებელი კრება მხოლოდ ცენტრია, შუაგული, რომლის გარშემო უნდა შეიკრიბოს ყველა სასიცოცხლო რევოლიუციური ძალები, რომ საერთო მძიმე უღელი ერთად ზიდონ ბრწყინვალე მომავლისკენ...

დამფუძნებელი კრება ხალხის შვილია, და მას ხალხმა უნდა გაუწიოს ნამდვილი დედობა.

დამფუძნებელი კრება მოდის, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას, გაუმარჯოს ხალხს, რომელმაც იგი აირჩია.

## ბაქოს მაფიცვის მოლოდინში

ბაქოში საყურადღებო ამბები მოხდა: ქალაქიდან გააძევეს დენიკინის შავი არმია, კასპიის ფლოტს იარაღი აჰყარეს.

მომხდარმა ამბებმა საერთო ყურადღება მიიპყრო. ფლოტის იარაღის აყრამ დემოკრატია ფეხზე დააყენა, საქმეში ჩაერია და ინგლისის სარდლობას მოთხოვნილება წარუდგინა. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე სარდლობამ უარი განაცხადა. ამის გამო მოხდა მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმის და სოციალისტური პარტიათა წარმომადგენლების თათბირი, რომელმაც დაადგინა: მოიწვიოს სასწრაფოთ კონფერენცია და თუ მანამდე არ დააკმაყოფილეს წარდგენილი მოთხოვნილება, გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვა. ბაქო იხევ გაფიცვის წინაშე დადგა.

კასპის ფლოტი არც დენიკინს ემხრობა, არც ბოლშევიკებს. იგი დემოკრატიზმის ნიადაგზე იდგა და აი ეს გახდა მიუღებელი იმათთვის, ვინც დენიკინს და კოლჩაკს უდგია გვერდში.

საერთო სისუსტე სადი დემოკრატიისა რუსეთში და გაურკვევლობა წმინდა დემოკრატიული ხაზისა, რომელსაც რამდენიმეთ ადგილი აქვს ბაქოშიაც, შეუძლებლათ ხდიდა ფლოტისთვის აქტიურ წინააღმდეგობის გაწევას.

მაგრამ ბაქოს მუშები ჩვეული არ არიან ბრძოლაში უკან დახევას. იგი მუდამ სამაგალითოდ იბრძოდა, დღესაც იმაღლებს ხმას დემოკრატიის უფლებისათვის. ეს ბუნებრივია და სწორეთ ამიტომ მას უნდა განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა.

ერთხელ და სამუდამოთ აღიარებულ უნდა იქნას, რომ ბაქოში და საერთოდ ამიერ-კავკასიაში შეიძლება მხოლოდ დემოკრატიული პოლიტიკის წარმოება. სხვანაირი პოლიტიკა მუდამ სასტიკ წინააღმდეგობას შეეჩეხება და ვერასდროს გამარჯვებას ვერ მოიპოვებს.

აქ მუდამ დემოკრატიის სამეფო იყო და უნდა დარჩეს ამიერიდანაც. ვინც ამას ანგარიშს არ გაუწევს, იგი გაირიყება და ეს არის უტყუარი თავდები, რომ ბაქოს მუშათა ბრძოლა ბოლოს და ბოლოს უშედეგოთ არ დარჩება და გონს მოიყვანს იმათაც კი, ვინც დღეს სხვაფრივ ფიქრობს და მოქმედებს...

## საქართველოს გარშემო

თავისუფალი ტრანზიტი და დაშნაკური ინფორმაცია.

საქართველო-სომხეთის კონფერენციაზე საკითხი აღიძრა თავისუფალი ტრანზიტის შესახებ და, როგორც გაზეთებში იყო აღნიშნული, პრინციპიალურად კიდეც მიიღეს.

მართლაც, ვის რა უნდა ჰქონდეს იმის საწინააღმდეგო, რომ სომხეთმა დაუბრკოლებლათ გაატაროს საქართველოს ტერიტორიაზე უკრაინაში გინდ სხვაგან ნაყიდი პური, აზერბეიჯანიდან ნავთი და დამშეული სომხეთი გამოჰკვებოს.

ჩვენ გვსურს ყურადღება მიექცეს მეორეგვარ „ტრანზიტს“, რომლის საშუალებით საქართველოზე გადის ის ცნობები, მასალები—ოქრო თუ სხვა, იმ ინფორმაციის საწარმოებლათ, რომელსაც აგრე მხნეთ ეწევიან დაშნაკელები,—სომხური ცხოვრების მესვეურნი,—საქართველოს გარეშე—ბაქოში, სტამბოლში, პარიზში, ლონდონში, როსტოვში თუ სხვა ადგილებში!..

ვიდრე ამ გვარი „საქონლის“ გატანა არ შეწყვეტილა საქართველოდან, ან საქართველოს გზით, ფუჭია იმაზე ლაპარაკი და ფიქრი, თითქო საქართველო სომხეთს შორის კეთილ-მეზობლურ დამოკიდებულებას ეშველოს რაიმე..

საზღვრების გასწორებაზე ნაკლები ყურადღება არ უნდა მიექცეს ამ მოვლენას.

და რომ ეს ასე უნდა მოხდეს, ამის საბუთს გვაძლევს ბაქოელი დაშნაკელების ცენტრალური ორგანო რუსულ ენაზე—„ვპერიოდი“.

ამ გაზეთის 5 მარტის ნომერში მოთავსებულია აღწერა იმ საომარი მოქმედებისა, რომელიც სწარმოებდა ქართველ-სომხეთა შორის 13—31 დეკემბრამდე და გამოძიება იმის შესახებ, თუ როგორ ეპყრობოდნენ სომეხ სამხედრო ტყვეებს ქართველები...

ჩვენ ვცდილობთ ის სამწუხარო ფურცლები, რომლებიც სომეხ-ქართველთა ომის ფურცლებს შეადგენენ, ისტორიას ჩავაბაროთ...

ის შრომობები, რომელიც ამ საშინელმა, ფუჭურათ მიერ გამოწვეულმა ომმა მიაყენა მეზობელ ხალხს, დავაბამოთ, მალამო დავსდოთ.

აგრე არ იქცევა დაშნაკცუტიუნი: მას არ სურს მშვიდობიანობა, შრილობას ის ღლიზიანებს, ის, რაც ისტორიას უნდა ჩაბარდეს, ახლა ააშკარავებს და ასე სურს „საქმის“ თავიდან დაწყება.

ბაქოში დაშნაკცუტიუნი ახალი ომისთვის ემზადება, ამისთვის სწერთნის საზოგადოებრივ აზრს, სინჯავს ნიადაგს...

თფილელი და ერევნელი დაშნაკელები კი,—შეთანხმებაზე მასლაათობენ.

პოლიტიკაში ზნეობრივად, ბრძოლის ველზე ფიზიკურად დამარცხებული დაშნაკცუტიუნი, ომის აღწერას, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ ტრაბახით ასხვსის, ასე ათავებს: „საერთო დასკვნა ასეთია: მოკავშირეებმა შეაჩერეს ორივე მებრძოლი მხარე იმ დროს, როცა სამხედრო მოქმედება იყო გაჩაღებული, ამიტომ ძნელია იმის თქმა, თუ ვის მხარეზე გადიხრებოდა გამარჯვების სასწორი. უდავოა მხოლოდ ის, რომ 1 იანვრისთვის ჩვენს მხარეზე იყო დიდძალი ახლად დაპყრობილი ტერიტორია, დიდძალი ტყვე და სამხედრო ნადავლი და მოხერხებული ტაქტიკური ადგილები, რაც იმის იმედს გვაძლევდა, რომ 1 და 2 იანვარს ჩვენ მნიშვნელოვან სტრატეგიულ გამარჯვებას მოვიპოვებდით, რომელსაც შესაძლოა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონებოდა“.

და ამას სწერს ის ხალხი, რომლებიც 1 იანვარს კუდამოძუებულნი გარბოდენ, ჩვენი გვარდია და ჯარი მათ ვერც კი დაეწია, როცა ღროებითი ზავის შესახებ ცნობა უნდა გადაეცა მათთვის.

ამას სწერს ის ხალხი, რომელიც ქურდულად თავს დაესხა ჩვენს მცირე რაზმს და 13 დეკემბერს დაიწყო საომარი მოქმედება. ეს იმ დროს, როცა დიპლომატიური კავშირი გაწყვეტილი არ იყო, როცა ჯამალიანი თფილისში იჯდა, როცა ერევნიდან 18 დეკემბერს ხატისოვი დამშეულ სომხებისთვის თფილისს სურსათს სთხოვდა...

ეს ხალხი სწერს ახლა საქვეყნოდ, რომ გავიმარჯვებდითო...

რა პირით ლაპარაკობენ აგრე?

ჩვენთვის სადავო არ არის, რომ დაშნაკცუტიუნის პირი და სინდისი დიდი ხანია შელახულია, და თუ აქ ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ ამ მოვლენას, ამით ჩვენ გვსურს საქვეყნოთ განვაცხადოთ, რომ თუ დაშნაკცუტიუნმა თავისი ძველი ხაზი არ შეცვალა საქართველოს მიმართ, ისე ძნელია კეთილ-მეზობლურ დამოკიდებულებაზე ფიქრიც კი...

## პრესა

„დაშნაკელები“ ახლაც ვერ იშლიან თავიანთ შხამის ნთხევას. თვით კონფერენცია ქართველ-სომეხთა შორის, კონფერენცია, რომლისკენ ჩვენ ომამდე მოვიწოდებდით მათ, და რომელზედაც იგინი მხოლოდ ომში დამარცხების შემდეგ მოვიდნენ, ვერ აჩერებს მათ ღვარძლიან ენას.

აი რას სწერს მათი გაზეთი „ჰარაჩი“ (№ 44).

„პოლიტიკურ-დიპლომატიური ხანგრძლივი ჯამბაზობის და რევოლიუციონურ დემოკრატიულ უკანდახევას და დეზერტირობის შემდეგ ქართველი ხელმძღვანელი წრეები თითქოს საბოლოოთ „შეუდრეკლათ“ მისულან იმ თვალსაზრისზე, რომელზედაც თანდათანობით და მტკიცეთ იდგა და დგას სომეხი მშრომელი ხალხი, რის გამო დღემდე განცალკევებული იყო და იბრძოდა უკანასკნელ წუთამდე.

„სომეხ-ქართველთა დაახლოვების საჭიროება დიდი ხანია შეგნებული ჰქონდა სომხის მშრომელ კლასს და კერძოთ პარტია დაშნაკცუტიუნს, რომლის საერთო კრებამ 1904 წელს და 1907 წელს ვენაში დაადასტურა, რომ პარტიულ ორგანოებს ყოველ მხრივ ეცადნათ სომეხ ქართველთა დაახლოვებისთვის. თავის პრინციპების და დადგენილებების თანახმად დაშნაკცუტიუნს და მისი გმირული მეთაურებული სომხის მშრომელ კლასს შეუდრეკლათ უბრძოლნია ამიერ-კავკასიის ერების სოლიდარულ თანაცხოვრებისა და რევოლიუციონურ ამშენებლობით მუშაობისათვის“.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ასეთი პოლიტიკა უწარმოებია დაშნაკცუტიუნს კავკასიაშიც, სპარსეთშიც, ოსმალეთშიც და განაგრძობს:

„ეხლა, როცა მსოფლიო იმპერიალიზმი შეიარაღებული გამოსულა საერთაშორისო დემოკრატიის წინააღმდეგ, როცა მშრომელთა უზარმაზარი ჯარი უკვე განთავისუფლების უკანასკნელ გზას დასდგომია, როცა პატარა და დიდი ერების ინტერესები დიპლომატიურ ვაჭრობის საგნათ არის გამხდარი, ეხლა უფრო, ვიდრე რომელიმე დროს, საჭიროა საერთოდ ამიერ-კავკასიის და კერძოთ სომეხ და ქართველ დემოკრატიის დაახლოვება. ამას გვიბრძანებს ჩვენ მომენტი“.

„აი, ამიტომ ქართული პრესის და ხელმძღვანელი წრეების ეს დახრა მისაგებებელია სომეხ მშრომელი ხალხისთვის. აი, რისთვის აღვნიშნავთ სიხარულით ამ ფაქტს და სომეხ-ქართველთა კონფერენციის მუშაობის ხელსაყრელ მსვლელობას და მოველოდებით ამ მუშაობის ხელსაყრელ და ორივე მხარისთვის სასურველ ბოლოს“.

თურმე ჩვენ ვყოფილვართ „წამომდეგი ზავის და „დაშნაკელები“ წინა ერთა ძმობის, ის დაშნაკელები, რომელნიც აჯანყებას ამზადებენ და ომი დაგვაქტიეს თავს.

ის ხალხი, რომელიც 1905 წ. სწორეთ რევოლიუციის საზღვრის წუთებში გამოეთიშა თფილისის დემოკრატიას და ამ რევოლიუციის ხანაშიც მხოლოდ საქართველოს დემოკრატიის დამხობისთვის ზრუნვაში ლევდა დღეებს.

და ჩვენ გაზეთის ასეთი წაკითხვის შემდეგ,—უნდა გამოვტყდეთ,—ეჭვი გვებადება, მართლა სურს ამ ხალხს, რომელსაც სომხეთის მთავრობაზე ლიდი გავლენა აქვს, შეთანხმება, თუ ეს მოლაპარაკებაც მათთვის მორიგი „საჯამბაზო“ გამოსვლის მოწყობაა? მით უფრო გვებადება ეს ეჭვი, რომ მისი მონათესავე გაზეთები ბაქოსა და სხვაგან სწორეთ ახლა ეწევიან უსინდისო აგიტაციას საქართველოს წინააღმდეგ.

* * *

„საქართველო“ ეხება ახალციხის უკანასკნელ ამბებს და ასეთ პოლიტიკას ურჩევს ჩვენს მთავრობას იქაურ მცხოვრებთა მიმართ:

„უნდა გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ოსმალეთმა მეჩვიდმეტე საუკუნეში მესხეთი ქართველობის გული ბატონყმობის ინსტიტუტის გაუქმებით გადაიბირა. ოსმალეთის ბატონობა რელიგიურ და კულტურულ ჩაგვრას მოასწავებდა, მაგრამ რადგან მაჰმადიანი გლეხი ეკონომიურად შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე ქრისტიანი, მდაბიო ხალხი ადვილად შეურიგდა რწმენისა და დედა ენის დაკარგვას. უმთავრესად ამ გარემოებით აიხსნება ის მოვლენა, რომ საქართველოს მოწინავე პროვინცია სულ ორიოდე საუკუნის განმავლობაში თითქმის სრულიად გადაგვარდა.

„მესხეთის ხელახალი აღორძინება კიდევ უფრო ჩქარის ტემპით უნდა მოხდეს, ვიდრე მისი დენაციონალიზაცია მოხდა. ამის თავდებია თანამედროვე დემოკრატიული საქართველოს პოლიტიკა. თავისთავად ცხადია, რომ გენერალი კვინიტაძე ისტორიულ ლალა-ფაშების ძალმომრეობას არ გამოიჩენს. მოღალატეები სასტიკად დაისჯებიან, მაგრამ ხალხს მიეცემა კულტურული ავტონომიისა და რელიგიური თავისუფლების გარანტიები, რომელიც საგანგებო მოწოდებაში სამაჰმადიანო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ აღუთქვა. ამას გარდა სამხრეთ საქართველოში დაუყოვნებლივ განხორციელდება ის აგრარული კანონები, რომელიც ჩვენმა პარლამენტმა მიიღო. ამის შემდეგ საქართველოსთვის საშიში აღარ იქნება უკან დარჩენილ აჯარებისა და მოსყიდულ ბეგების თავდასხმა“. (საქ. № 53).

ჩვენც სწორეთ ამავე აზრს ვატარებდით პარლამენტის უკანასკნელ სხდომაზე. გ. კედია, „საქართველოს“ სულის ჩამდგმელი და ეროვნულ დემოკრატების ლიდერი კი სწორეთ ასეთ პოლიტიკისთვის გვაყრიდა ქვას და გუნდას. განსაკუთრებით აგრარული რეფორმის აჩქარებას გვიკიჟინებდა. საინტერესოა, რომელი აზრია ამ პარტიის და როდის არიან იგინი გულწრფელნი? როცა ხელმოუწერელ მეთაურს აქვეყნებენ, თუ როცა კედიას ტრიბუნაზე აგზავნიან?

# დ ღ ე ს

გენ. დენიკინის ტყვეობიდან ბათუმში მოვიდა ქართველ ჯარისკაცთა მეორე პარტია. ვაგონების უქონლობის გამო, ისინი ინგლისელებმა ფოთში გაგზავნეს.

ბაქოს პოლიტიკური პარტიების და მუშათა ორგანიზაციების თათბირმა დაადგინა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადოს, უკე თუ ინგლისის ხარდობა რუსეთის ან ადერბეიჯანის შინაურ საქმეებში ჩაერევა.

— —

ბოლშევიკები, როგორც თითონ იუწყებიან, უკრაინაში წინ მიიწევენ; დონის ოლქში, ბახმუტის სამხრეთ დასავლეთით მათმა ჯარმა კონსტანტინოვკა დატოვა.

გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში გამოცხადებული საერთო გაფიცვა ჯერ არ დამთავრებულა. ზოგიერთ ადგილებში მთავრობის მომხრეთა და სპარტაკელებს შორის შეტაკებამ მკაცრი ხასიათი მიიღო.

საზავო ხელშეკრულობის პროექტი ინგლისური პრესის ცნობით პირველი აპრილისთვის მზად იქნება.

## უკანასკნელი ცნობები

**ბათუმი.** მარტის 6. ტუაპსედან ჩამოვიდა რუსის გემი „სვიატოი ნიკოლაი", რომელმაც ჩამოიყვანა მეორე პარტია სოჭში წაყვანილ ჩვენი ტყვეებისა, მათ შორის არა სამხედრო ტყვეებიც არიან, რომლებიც მაშინვე განთავისუფლეს. 200-მდე სამხედრო ტყვე კი ვაგონების უქონლობის გამო ინგლისელებმა ფოთში გაგზავნეს. ჩამოსულების სიტყვით, რაც უფრო დიდი თანამდებობა ეჭირა მოხელეს, მით უფრო მკაცრად ეპყრობოდენ მას მოხალისენი. დღეს აფარებელი სამხედრო ტყვე მოაწყდა ბათუმს. მოდიან გერმანიიდან და ავსტრიიდან. მათი სიტყვით მრავალი ქართველი ტყვეა თავმოყრილი ნ ვოროსიისკში. ისინი მოუყვანიათ ოსმალეთიდან გემით, როგორც რუსის ტყვეები; მათი მდგომარეობა უმწეოა და არავინ ყოფილა იქ მათი დამხმარე. ინგლისელები ბათუმიდან ნ არავის უშვებენ სტამბოლისკენ. ასეთივე მდგომარეობაა სტამბოლიდან ჩვენსკენ მომავლებისთვისაც. მიზეზი გამოურკვეველია. გუშინ აირჩიეს სასურსათო კომიტეტის პრეზიდიუმი და გამგეობა. გამგეობაში შედის 6 კაცი—აქედან 2 ქართველი მაჰმადიანია, 1 ქართველი ქრისტიანი, რუსი, ებრაელი და სომეხი თითო კაცი.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

8 მარტი

**ინგლისური პრესის ცნობები.**

მრეწველობის საბჭოსა და სამრეწველო კონფერენციის გაერთიანებულ სხდომაზე ლოიდ ჯორჯმა საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა, მან სთქვა, რომ ის მიდის საზავო კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებათ, რომელიც მისი აზრით ჩამოაგდებს მტკიცე მსოფლიო ზავს: საჭიროდ ჩავთვალე მოვსულიყავი აქ, რომ მეთქვა თქვენთვის რამოდენიმე სიტყვა, რადგან თქვენც მონაწილეობთ საზავო კონგრესის სხდომაზე, რომლის მნიშვნელობა თქვენც კარგათ იცით. ის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თქვენ გგონიათ, არა მარტო იმიტომ, რომ სწყვეტს უახლოეს პრობლემებს, არამედ იმიტომ, რომ სწყვეტს ქვეყნის მომავალ ბედს. ქვეყანა ღელვარებამ მოიცვა. რუსეთი დაირღვა და დანაწილდა. არის სიმპტომები, რომ გერმანიასაც იგივე მოელის. გერმანიაში არ აქვთ გამორკვეული გზა, რომლითაც ამ მხარემ უნდა იაროს და ამ მიზეზით იქ ძლიერდება ტანჯვა. მე არ გამიკვირდებოდა, თუ ჩვენი ძველი მხარე კიდევ ერთხელ იქნებოდა ცივილიზაციის გადამრჩენი. თქვენ შეგიძლიათ შექმნათ ცივილიზაციის ისეთი განსახიერება, რომელსაც ყველა მიმართავს და იტყვიან: „გავყვეთ, მივბაძოთ ინგლისს".— ინგლისს არა ერთხელ წამოუყენებია სხვა ქვეყნებშიც თავისუფლების და დემოკრატიზმის პრინციპი. მე მინდა, რომ ინგლისმა ახლაც გადაარჩინოს ცივილიზაცია. ცივილიზაციას ვერ გადაარჩენს მხოლოდ ყველა კლასის თანასწორუფლებიანობა და სამართლიანობის გამარჯვება. აი რა გზით მინდა შევუდგეთ ამ დიდ საკითხის გადაწყვეტას. ნუ სცდილობთ მას, რომ ერთმანეთისაგან რამით ისარგებლოთ. ეს სასამართლო კი არაა, სადაც ყველა ვექილია და სადაც ის ხან ერთს და ხან მეორეს მიანდობს თავის საქმეს იმ იმედით, რომ გადარჩენი სასარგებლო იქნება მისთვის. თქვენ მსაჯულნი ხართ. თქვენ რწმუნებული ხართ მთელი სახელმწიფოსი, მილიონ მუშის და სამუშაოს მიმცემთა და კიდევ მათი, რომლებსაც ვერ მიაწერთ ამა თუ იმ კატეგორიას, მაგრამ რომლებიც ამ დიად მხარის ნაწილი არიან. მე ვეუბნები სამუშაოს მიმცემთ, რომ მათ შეუძლიათ ისარგებლონ დროით თავის სურვილების დასაკმაყოფილებლათ, მაგრამ დაბოლოს ეს განადგურებამდე მიიყვანს. მათ თვალყური უნდა ადევნონ მას, რომ საფუძველი შეურყეველი და მტკიცე იყოს, მაგრამ ამ ქამათ ის მტკიცე არაა, თქვენ უნდა ჩაუდგათ სახელმწიფოს საძირკველი. მეორეს მხრით უნდა განვუცხადო მუშებს, რომ ის, რაც მოხდა რუსეთში და რაც შეიძლება მოხდეს გერმანიაში, იმის დასამტკიცებელია, რომ თუმცა ანარქისტული პარტია ამ ქამად გამარჯვებულია, მაგრამ ამ ქვეყნაში მაინც აუწერელი უბედურებაა, ზოგიერთნი შესაძლოა კარგათ ცხოვრობდენ, მაგრამ მუშათა კლასი მეტად ცუდ მდგომარეობაშია. ამიტომ აუცილებელია გაერთიანება, რომელიც უზრუნველყოფს კეთილ მდგომარეობას. უკანასკნელს უეთუოდ უნდა მივაღწიოთ. დიე გაიგონ მუშებმა, რომ იქ, სადაც წარმოება იზრდება, ისინი სამართლიან წილს იღებენ. მუშებსა და სამუშაოს მიმცემთ მოეთხოვება მეტი ნდობა ერთმანეთისადმი და ურთიერთის გაგება.

საბჭომ განიხილა საზავო ხელშეკრულების ბევრი მუხლი და მოწინააღმდეგის პირობები. გადაწყვეტილებებს მხოლოდ ხვალ მიიღებენ. მსჯელობის მთავარი საგანი იყო: ბოჰემიისთვის, ყოფილ ავსტრიის სხვა ნაწილებისთვის და ბავარიისთვის სურსათის საჩქაროდ მიწოდების საკითხი. ბოჰემიაში და ბავარიაში დაუყოვნებლივ გაიგზავნება სურსათი, რათა გარდა შიმშილობის შემცირებისა, ეს ქვეყნები ბოლშევიზმს აცდინონ.

ყველა კომისიები სწრაფათ მუშაობენ და, იმედია, რომ საზავო ხელშეკრულების პროექტი 1 აპრილისთვის მზათ იქნება ზოგიერთი მუხლები უკვე სავსებით შემუშავებული. ფიქრობენ, რომ ლოიდ ჯორჯის ენერგიულ თანამშრომლობით მთელი პროგრამა მზად იქნება ვილსონის ჩამოსვლისას, მარტის 14 სთვის. ეხლა გამოირკვა, რომ აპრილის დასაწყისისთვის ხელშეკრულება არ იქნება მზათ, როგორც ამას წინად ფიქრობდენ, რადგან ზოგიერთ საბუთებს გერმანელები მხოლოდ მარტის გასულს წარმოადგინენ. ოფიციალურ წრეებში ძლიერდება ის აზრი, რომ კონფერენციის პლენალურ სხდომაზე არ დაუშვებ გერმანელები, რომელთაც კონფერენციის კომიტეტთან ექნება საქმე ხელშეკრულების მოწერის შემდეგ. ამერიკიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ კონგრესი და ხალხი თანდათან უფრო მეტ და მხარეგას უწევს ხალხთა ლიგას.

პოლონეთში მყოფი მოკავშირეთა მისია პარასკევს, ღამით, სწრაფ მატარებლით ვარშავიდან გაემგზავრა პოზენში, სადაც ის შეხვდება გერმანელთა წარმომადგენლებს პრუსია პოლონეთის შორის დროებით ზავის პირობათა დაწვრილებით განსახილველად. მისიის თავმჯდომარეა საფრანგეთის წარმომადგენელი ნულანსი, დიდი ბრიტანიის—ესმე ჰოვარდი, იტალიის—მონტენი, ამერიკის—გენ. კერნანი. მისიას ახლავს კაპიტანი ლევერსონ გოვა და მაიორი ვეტინგი. მის ის სხვა წევრები ამ ქამათ იმყოფებიან ლვოვში, სადაც პოლონელების და უკრაინელების მორიგებას აპირებენ. ამის შემდეგ ისინიც პოზენში წავლენ პოზენში მისიას ალფრთოვანებით შეხვდნენ.

სამხედრო სამინისტრო აცხადებს, რომ მურმანის რკინის გზის დამცველმა მოკავშირეთა ჯარმა თეთრი ზღვის სამხრეთ ნაპირზე ბოლშევიკები დაამარცხა.

„ტაიმსი" იუწყება, რომ შეადგინეს ხმელთა შუა ზღვის სპარსეთის ყურესთან არხის შეერთების პროექტი. არხი დაიწყება სუეციდან, ალექსანდრეტის სამხრეთით, გაივლის რელსზე ანტიოქიამდე; იქიდან არხი წავა ალეპოს გასწვრივ ეფრატამდე. არხი 960 მილის სიგრძის იქნება. ამ პროექტის ავტორს გუ ტავ დიფოსს რამდენიმე წლის წინათ მიენდო ამ პროექტის წვრილმანების შემუშავება.

თემთა პალატამ მოიწონა ის აზრი, რომ ზავის შეკვრა საერთო ილიუმინაციით იდღესასწაულონ.

გამოირკვა, რომ გერმანელების მიერ ნაძარცვი დიდ ძალი მასალა ბრიუსელში იქნა დატოვებული, ბელგიიდან წასვლის დროს. საფრანგეთის წარმომადგენლების თხოვნით ბელგიის ეროვნულ მუზეუმის დირექტორი ფ. ქაბერტი გაარჩევს და აღწერს სურათების, ქანდაკებების, ხალიჩების, ავეჯეულობის და ხელნაწერთა კოლექციებს.

„რევიუ დე პარი"-ში პროფესორი მარლერიე არჩევს გერმანიის პროტესტს იმის გამო, რომ მას არ შეუძლია ომისაგან მიყენებულ ზარალის ანაზღაურება, მაშინ, როდესაც გერმანელები ფიქრობენ, რომ გაიმარჯვებდენ, ერთი გერმანელი ეკონომისტი ლანდსბურგი ზარალის ანაზღაურების შესახებ სწერდა: „მტკიცედ უნდა უარვყოთ ის თეორია, რომ დამარცხებულ სახელმწიფოს არ შეუძლია ზარალის ანაზღაურება და ამიტომ უნდა გადაიხადოს იმდენი, რამდენსაც საჭიროთ დაინახავს გამარჯვებული. საფრანგეთმა და ბელგიამ უნდა მოითხოვოს იმის ზარალის ანაზღაურება.

უნგრეთის მთავრობა ენერგიულ ზომებს იღებს კომუნისტების წინააღმდეგ, რომელთა მეთაური ბელაკუნი აღელვებულმა ბრბომ მოკლა.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**მოსკოვი** მარტის 7. **დასავლეთის ფრონტი.** მიუნენის მიმართულებით ბრძოლით დავიბრუნეთ კაარგოზერო. ნარვის რაიონში ესტონიის წითელმა ნაწილებმა ნარვას შესართავთან ბრძოლით რამოდენიმე სოფელი დაიჭირა. ვოლმარის რაიონში, მარიენბურგის მიმართულებით ლატიშელთა წითელმა ნაწილებმა სოფლები დაიჭირა. ბობრონის მიმართულებით ბელორუსთა წითელ ნაწილებს უკან დაახევინა პოლონელთა ლეგიონერებმა. **სამხრეთის ფრონტი.** დონეცის რაიონში, ბახმუტის სამხრეთ დასავლეთით ჩვენმა ჯარმა კონსტანტინოვკა დასტოვა. მილეროვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიჭირა სოფლები. **აღმოსავლეთის ფრონტი.** სტერლიტამაკის რაიონში ჩვენმა ჯარმა სოფლები დაიჭირა. სარაპულის რაიონში ბრძოლის შემდეგ სოფლები დავსტოვეთ. ოხანის მიმართულებით ჩვენ უკან დავიხიეთ. **დიბენკოს შტაბი.** 7 მარტი. ბახმუტის მაზრაში ბულგარეთიდან დაბრუნებულნი გვიამბობენ, რომ თეთრგვარდიელები აიძულებენ სამხედრო ტყვეებს ჩაეწერონ მოხალისეთა რაზმში. უარის თქმის შემდეგ 8,000 კაცი ძალით წაიყვანეს. უკრაინის წითელი ნაწილები სად. ბანდურკამდე პეტლიურას ჯარს სდევნიდა. პარტიზანულმა ნაწილმა ბრძოლით დაიჭირა მეენოვი. სად. დოლოპონიასთან ბრძოლის შემდეგ ტყვეთ წამოვიყვანეთ 48 გერმანელი. ჩვენი ნაწილები ნიკოლაევს 10 ვერსით დაუახლოვდნენ. ნიკოლაევის სამხრეთით გერმანელებმა უკან დაიხიეს. ხერსონის მიმართულებით ბრძენთა ჯარმა შეავიწროვა წითელი ნაწილები. უკანასკნელებმა გალაგანოვკისკენ დაიხიეს მაგრამ მალე ბრძნებს ხერსონისკენ დახევა აიძულეს. წითელი ნაწილები ქალაქს უტევენ, თავრიდის ფრონტზე პერეკოპ-კონსტანტინოვკა ავიღეთ. ჩვენმა ჯარმა ჩაპლინკა დაიჭირა. **ეკატერინოსლავი** 8 მარტი. იუზოვის რაიონში მრავალ სოფლებში შეადგინეს რაზმები, რომელნიც ყაზახთა თეთრგვარდიელ ბანდებს თავს ესხმის. **ოპერატიული არმიის შტაბის ცნობა.** ვარკსკის მიმართულებით მოწინააღმდეგემ შემოგვიტია, მაგრამ უკუ ვაგდეთ. **ნაუენი** მარტ. 8. მდგომარეობა ბერლინში გამწვავდა, რადგან ზღვის ქვეითი დივიზია აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა. საპოლიციო სამმართველოს შენობას, სადაც პოლკოვნიკ რეინჰარდტის ჯარი სდგას, აჯანყებულები ესვრიან. სტამბები რამოდენიმე დღეა გაიფიცა. **ნაუენი** მარტ. 5. ბერლინში ხუთშაბათს არც ერთი გაზეთი არ გამოსულა. ოთხშაბათიდან ვოლფის ბიურომ შესწყვიტა ბიულეტენების ბეჭდვა. **ნაუენი.** მარ. 6. ბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს საერთო კრება აქვს. თავმჯდომარე რიხარდ მიულერმა აუწყა კრებას, რომ მუშათა პროფესიონალურმა კავშირებმა დაადგინეს მიემხრონ გაფიცულებს. შესაძლებელია, რომ ელექტრონის სადგურის მუშაობა და ბერლინსა და მის მიდამოებში რკინის გზის მიმოსვლა შეწყდეს. **ბერლინი.** თებ. 27. გამბურგში შეკრებულმა მთავრობის ჯარმა 116 კომუნისტი დააპატიმრა. ორი მოკლულია. **ბუდაპეშტი** 28 თებ. გაზ. „პესიერთადიდ" იუწყებიან, რომ ჩერნოვიცში უკრაინელები რუმინელების წინააღმდეგ აჯანყდნენ. რუმინის მთავრობამ აჯანყება ჩააქრო. ჩერნოვიცში სამხედრო წესები გამოაცხადეს. **ბერლინი** მარტის 1-ლი. შვეიცარიის გაზეთების ცნობით ლეიპციგში დემონსტ. გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას იღებდენ მუშები და მოწაფეები. ისმოდა „ძირს მონარქია". **ბერლინი.** 27 თებ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა ზომები მიიღოს იარაღის ჩამოსართმევად. ჯარს და პოლიციას უბრძანეს მოახდინონ ჩხრეკა და კერძო პირებს იარაღი ჩამოართვან: რკინის გზის ხაზი სპარტაკელების ხელშია დანციგს ლეიპციგის და მრავალ სხვა ქალაქებში გაფიცვებია. **ნაუენი.** მარ. 6 ზემო-სილეზიის ქალაქებში კრებები ხდება. გამოაქვთ პოლონეთისადმი საპროტესტო რეზოლუციები. მაგდებურგში სპარტაკელები აგიტაციას ეწევიან. განოვერში, სადაც კომუნისტებს 12,000 მომხრე ჰყავდათ, მათ გამოსვლები დააპირეს, მაგრამ ცდა უნაყოფო გამოდგა. რეინის ოლქში, ვესტფალიაში სპარტაკელების აჯანყების ჩაქრობის შემდეგ სიწყნარეა. ლეიპციგში მდგომარეობა შეიცვალა: გაფიცვის მომწყობი კომიტეტი ხელს უშლის მუშაობის დაწყებას.

## ახალი ამბები

**დამფუძნებელი კრების** სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სხდომა დანიშნულია დღეს თორმეტ საათზე სახლში.

◆ **დღეს,** საღამოს ხუთ საათზე, დანიშნულია საქართველოს სოც.-დემოკ. მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტის არაჩვეულებრივი სხდომა.

◆ **ვალ. ჯუღელი** 7 მარტს ახალციხის ფრონტიდან თფილისს დაბრუნდა.

◆ **დამფუძნებელი კრება.** 7 მარტს მომხდარ პარლამენტის პრეზიდიუმის სხდომაზე დადგენილ იქნა: დამფუძნებელი კრება გაიხსნას 12 მარტს სასახლეში დღის 12 საათზე. დამფუძნებელი კრებას გახსნის წევრთა უხუცესი. არჩეულ იქნება თავმჯდომარე, რომელიც აცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს და რომელზედაც შემდეგ ხელს მოაწერენ დამფუძნებელი კრების წევრები. არავითარი კერძო სიტყვები და მილოცვები სხდომაზე არ იქნება წარმოთქმული.

◆ **სომხეთის რესპუბლიკის დიპლომატიურ** წარმომადგენლებად საქართველოს მთავრობასთან დაინიშნა ლ. ევანგულოვი.

◆ **სომხეთის მხედართა დაკმაყოფილება.** თფილისში მყოფი სომხეთის სამშვიდობო დელეგაციამ მიმართა სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრს თხოვნით, რათა მან დააკმაყოფილოს სომხეთის ის აფიცრები და ჯარისკაცები, რომლებიც სომხეთის ჯარში მსახურებდენ და ეხლა კი თფილისში ცხოვრობენ.

◆ **ქართველთა დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირში** შემოწირულება მიიღება ბროსეს ქუჩა № 2, სანაპირო ჯარის ინტენდანტთან, პოდპოლკოვნიკ ს. მ. გარუჩავასთან. იგივე კავშირი 10 მარტს სახელმწიფო თეატრში ჯარში დაჭრილ დასახიჩრებულთა სახსრის გასაძლიერებლად ჰმართავს დიდ საღამოს. დადგმულ იქნება ოპერა: 1) „თქმულება შოთა რუსთაველზე", 2) ბალეტი „თავად იგორიდან", 3) შეერთებული სამხედრო ორკესტრი რესპუბლიკის ჯარისა.

◆ **შავი ზღვის რკინის გზის ვალი.** რუსეთ აზიის ბანკის სოჭის სააგენტო თხოულობს საქართველოს მთავრობისაგან 2 მილიონ მან. იმ საფუძვლით, რომ შავი ზღვის სანაპირო რკინის გზა საქართველოს მთავრობის ხელშია და ამ გზის საზოგადოებას კი 2 მილიონი მართებს ბანკისა.

◆ **სურსათი სომხეთისათვის** ა. სააკიანმა ცნობა მიიღო, რომ ენზელიდან ბაქოში ჩამოუტანიათ სომხებისათვის 150,000 ფუთი ბრინჯი, აქე ან 20 ვაგონი გაიგზავნა სომხეთში. რეშტში მოკავშირეებმა გაგზავნეს რწმუნებული ბრინჯის შესაძენად სომხეთისათვის. ეხლა ბათუმში არის ამერიკიდან ჩამოსული გემი პურით, რომელიც სომხეთში უნდა გაიგზავნოს სალონიკიდან გამოგზავნილია 150,000 ფუთი ფქვილი, მოკავშირეებმა ჩრდილოეთ კავკასიაში გაგზავნეს რწმუნებული პურის შესაძენათ, ამისათვის გადადვეს 1 მილიონი მანეთი.

21 თებერვლამდე თფილისით სომხეთში გაიგზავნა 66 ვაგონი ფქვილი და 7 ვაგონი სხვადასხვა სურსათი. სურსათის გადასაზიდათ, მოკავშირეთა მისიის განკარგულებით, ყოველ კვირაში უნდა გავიდეს სომხეთში 4 მატარებელი 20 ვაგონით.

◆ **შაქარი.** ვინაიდან ქალაქის კოოპერატივთა კავშირის გამგეობამ ვერ შეძლო ძველის ვალის გადახდა, ამიტომ კოოპერატივთა კავშირზე ახალი შაქრის მიცემა შეჩერებულია. სასურსათო განყოფილება ამ ჟამად არიგებს იანვრის კუთვნილ შაქარს სარაიონო და ბინის კომიტეტების საშუალებით, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ შაქრის ბარათები და მიიღონ შაქარი ნაღდ ფულად.

შაქრის განსაზღვრული რაოდენობის გამო, უკანასკნელი სულზე მიეცემათ მცხოვრებლებს თითო გირვანქა.

◆ **საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა** წარმომადგენლების ყრილობის ბიურომ გადასწყვიტა მარტის 16 დილის თერთმეტ საათზე, ქალაქ თფილისში, ამიერ-კავკასიის ბანკის ბინაზე (ლორის მელიქოვის ქ. № 5, ტელ. № 5—26) მოიწვიოს საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობა. ქართული კომერციული ბანკი, საურთიერთო ნდობის საზოგადოებანი, წვრილი კრედიტის და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი ამ ყრილობაზე თითო წარმომადგენელს გზავნიან შესაფერი რწმუნებულებით.

◆ **ქართული ლატარია.** 8 მარტისათვის განძრახული ქართულ ლატარიის საღამო-კაბარე გაიმართება ქართულ კლუბის დარბაზებში 15 მარტს. საღამოს პროგრამა ყოველ მხრივ საინტერესოთაა შედგენილი.

◆ **ახალგაზრდა მარქსისტებს** განზრახვა აქვთ დაარსონ მუდმივი დასი, რომელიც გამართავს წარმოდგენებს თფილისის სხვადასხვა უბნებში. ამისთვის სთხოვენ ყველა იმ პირთ, ვინც განაცხადა თანხმობა და აგრეთვე მსურველთ ჩაეწეროს დასში, გამოცხადდეს დღეს 10 საათზე ოლღას ქუჩა, № 29.

◆ **უპატრონო ბავშვი.** თფილისში გარდაცვალებულ რკინის გზის მუშას და მის მეუღლეს დარჩა სამი ბავშვი. ორ მათგანს ზრდის მშობლების ახლობლები. მესამე ბავშვი, რომელიც 11 თვისაა, უპატრონოდ არის და ვისაც უნდა იშვილოს მიმართოს თფილისის სადგურის კიოსკის გამგე გერმანე მარშანიას.

◆ **შრომის ბირჟის კრებული.** დაიბეჭდა და გამოვიდა შრომის ბირჟის კრებული. მოთავსებულია შიგ წერილები რუსულ და ქართულ ენაზე, შრომის ბირჟების და პროფესიონალურ კავშირების მუშების დახლოვებისა. აგრეთვე მოთავსებულია ყველა კანონ პროექტები და მუშათა დეკრეტები, გამოცემული ამიერ კავკ. კომისარიატის და შრომის სამინისტროს მიერ. ფასი კრებულისა 10 მანეთი. მთელი შემოსავალი გადაეცემა უმუშევართა ფონდის გასაძლიერებლად. კრებულის შეკვეთა შეიძლება შრომის ბირჟაში. მუშათა ორგანიზაციებს და წიგნის გამყიდველებს დაეთმობათ შეღავათიან ფასებში.

◆ **მესამე რაიონის დროებითი** საორგანიზაციო კომისია იწვევს ავლაბარში მცხოვრებ მოწინავე პარტიულ ამხანაგებს, კვირას, 9 მარტს, დილის 10 ს. კოლექტივის ბინაზე. დღის წესრიგი: მუშაობის გაძლიერება.

◆ **დებიუტი ახალგაზრდა ქართველ მომღერალთა.** 9 მარტს, ქართულ კლუბის თეატრში კოლოტოვის სტუდია მართავს მუს. იკ. საღ., სადაც პირველათ იღებენ მონაწილეობას ახალგაზრდა ქართველი მომღერალნი: გაბაშიძე, ექსანოვისა, ბეჟანიშვილისა, ლონტი, იმერელი, თარხანიშვილი. დაიდგმება „აიდა"-ს I და მე IV აქტი, „მაზეპა" მე II აქტი. და სასრული კონცერტი.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** ქართულ სექციას შეემატა ერთი რაიონი. კვირას, 9 მარტს, საღამოს 6 საათზე ჩუღურეთის რაიონში, მეორე კომერციულ სასწავლებელში, მოხდება სახალხო უნივერსიტეტის მესამე ქართული განყოფილების გახსნა. ლექციებს წაიკითხავენ: 1) სერ. [illegible] „საქართველოს მწერლობის ისტორიაზე", 2) ექ. [illegible] „ჰიგიენაზე".

◆ **ნაძალადევის კლუბის შენობაში** კვირას, 9 მარტს, დილის 9 საათზე დანიშნულია სცენის მოყვარეთა კრება. წარმოდგენების მმართველი კომისია სთხოვს ამხანაგებს უეჭველად მოვიდნენ დანიშნულ დროზე.

◆ **ორთაჭალის მუშათა კლუბში** კვირას, 9 მარტს, წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე, დრამა 3 მოქ. „დამნაშავია".

◆ **სახალხო უნივერსიტეტში** დღეს, საღ. 7 ს., გაიმართება დისპუტი შემდეგ თემაზე: „სოციალიზმი და ხელოვნება". მონაწილეობას მიიღებენ სახალხო უნივერსიტეტის ლექტორები. შემოსავალი გადაიდება უმუშევართა სასარგებლოდ. შესვლის ფასი 3 მანეთი.

◆ **პროლეტარული ხელოვნება.** კვირას, 9 მარტს, მეტყავეთა პროფესიონალური კავშირი თფილისის „კრუჟოკში" მართავს საღამოს. მოხსენებას წაიკითხავს ქართულ ენაზე პოეტი ტიციან ტაბიძე: „პროლეტარიატი და ხელოვნება". შემდეგ დადგმული იქნება პიესა სომხურ ენაზე, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სცენის მოყვარე მუშები.

◆ **გაზეთების შეწყვეტა.** ფულის მოუღებლობის გამო დღეს უკანასკნელად იგზავნება გაზეთები ზუგდიდში.

**კ რ ე ბ ე ბ ი**

დღეს, დილის 10 საათზე, მე 4 რაიონის კოლექტივის ბინაზე. ოლღ. ქ. 29 დანიშნულია ახალგაზრდა მარქსისტთა თფილისის კომიტეტის სხდომა.

— დღეს, დილის 10 საათზე ქალაქის თვითმართველობაში შედგება კრება ქალაქის ყველა მოსამსახურეთა საქართველოს ს. დ. მ. პარტიის წევრებისა.

— დღეს აღარ შესდგება საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ცენტრალური კომიტეტის და მეორე რაიონის კოლექტივის სხდომა.

— 9 მარტს 4 საათ. თფილისის ტრამვაის პარკში შესდგება საერთო კრება თფილისში მცხოვრებ ოსებისა.

## მთავრობაში

4 მარტის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

აფხაზეთის სახალხო საბჭოს გახსნაზე დასასწრებლად დაინიშნოს ევ. გეგეჭკორი, თუ მისი სოხუმში წასვლა სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა, მაშინ მთავრობის სახელით დეკლარაციის წაკითხვა დაევალოს ის. რამიშვილს.

— დაევალოს საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგს მოლაპარაკება გამართოს ამერიკის კომიტეტთან, გადასცეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა მზადაა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს მათ ლტოლვილთა დახმარების საქმეში: უცხოეთიდან შემოზიდულ საქონლის რკინის გზაზე თავისუფალ გაზიდვით და სხ. აგრეთვე გადასცეს ამ კომიტეტს მთავრობის სურვილი ლტოლვილთა დახმარების განსაკუთრებულ ყველა ეროვნების წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომიტეტის დაარსებისა, რათა მათი დახმარებით იქნეს უფრო მიუდგომელი და ვრცელდებოდეს ყველა ეროვნების ლტოლვილებზე. დაევალოს გზათა უწყებას ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ამერიკის კომიტეტს მათი რკინის გზით მოგზაურობის დროს.

## დამოუკ. ეროვნული სახელმწიფო — საქართველო *)

ფეოდალიზმსა და ბურჟუაზიას შორის მძიმე ბრძოლის დროს, როდესაც ძველი და ახალი ქვეყანა ერთმანეთს სამკვდრო სასიცოცხლო ჭიდილში იყო შებმული, —მომავალი ბურჟუაზიული საზოგადოება ახალი სიტყვით და ახალი საქმით გამოდიოდა. ბურჟუაზიის ბანაკიდან გაისმა ადამიანის პიროვნების და მოქალაქის, ერის უფლებათა შესახებ მტკიცე დეკლარაცია. ცეცხლათ [illegible] გრძნობა და კამარა შეჭკრა გატაცებულმა ახალმა გონებამ. ახალი თაობა [illegible] ენერგიით ლახვარს ლახვარზე სცემდა ფეოდალიზმს და გამარჯვება წილად ხვდა მას, ვის საბრძოლველ დროშაზეც ამოჭრილი იყო უკვდავი: თავისუფლება! თანასწორობა! ერთობა! ამ სახელოვან ბრძოლიდან ბურჟუაზია გამარჯვებული გამოვიდა და ისტორიის ქურიდან ეროვნული სახელმწიფო თავისი უფლებებით მარჯვეთ გამოიტანა. აქედან იწყება ბურჟუაზიის მიერ თავისი კლასობრივი სასახლის დამკვიდრება. ეროვნულ ჩარჩოებში თავისი „მე"-ობისა და პოზიციების გამაგრება და გაფართოება დაულალავი საზრუნავი იყო და თავის განვითარების პროცესში კაპიტალიზმს მძლავრათ განვითარებულმა და ფრთა-გაშლილმა ბურჟუაზიამ [illegible] თავისი თავი ეროვნულ სახელმწიფოებრივ საზღვრებში და გარეშე ბაზრის გულისთვის გადალახა იგი, შეესია სხვას, საფუძველი ჩაუყარა კოლონიალურ და იმპერიალისტურ პოლიტიკას. ვაჭრული და მხედრული ხელით მოქმედებდა გამაგრებული ბურჟუაზია და თავის სწრაფვას გზაზე ფეხქვეშ თელავდა ყველა იმ პრინციპს, რომლისთვისაც იგი ფეოდალიზმთან ბრძოლაში სისხლით გზას იკვლევდა. დავიწყებას მიეცა ყველა ის დიადი ლოზუნგი, რომელიც მის დროშას ერთ დროს ამშვენებდა. ნაცარი წააყარეს ერთა სუვერენობის და თავისუფლების ბრწყინვალე იდეას. ყველაფერი იმპერიალისტურ მიზნებს მიუტანეს ზვარაკათ. თოფ ზარბაზანმა დაიკავა პირველი ადგილი.

მაგრამ დიალექტიკურმა ცხოვრებამ თვით ბურჟუაზიის საშოდან წარმოშვა ახალი ძალა—მომავლის კლასი—პროლეტარიატი, რომელიც თავისი სალკლდე გულით და განათებული შეგნებით მას დაუპირდაპირდა. ბურჟუაზიის მიერ სიძველეში გადაგდებული და ლურსმანი ქოქლებით გათელილი თავისუფლების იდეა კვლავ აღიბეჭდა დროშაზე, რომელიც დღეს ხელთ უპყრავს მუშათა კლასს. მომავლის გამომხატველმა—პროლეტარიატმა კვლავ საბრძოლველ ლოზუნგათ წამოაყენა: თავისუფლება! თანასწორობა! ერთობა! და ამ დიად ლოზუნგთა შორის: ერთა თვითგამორკვევის უფლება! ერთა თანასწორობა! პროლეტარიატს უარი არ უთქვამს დემოკრატიულ პოლიტიკურ მიზნებზე, პირიქით მან იგი უფრო გააღრმავა და გააფართოვა, მისი უფრო თავგამოდებითი დამცველი შექმნა ერთი ამგვარ ლოზუნგთაგანი არის: ეროვნული იდეა! „ის მეორე ეროვნული იდეა, რომლის გაფურჩქვნა თანამედროვე სახელმწიფოს განვითარებასთანაა დაკავშირებული—ფესვგადგმულია ხალხის მოთხოვნილებაში" და „[illegible] ჩვენ (სოციალდემოკრატების) დემოკრატიულ და ინტერნაციონალურ მიზნებთან. ეროვნულ დამოუკიდებლობის იდეაზე უარის თქმა ნიშნავს ამ მიზნებზე უარის თქმასაც". (კაუცკი). როგორც ვხედავთ: დემოკრატია საერთოდ და სოციალდემოკრატია კერძოდ თავგამოდებული დამცველია ეროვნულ დამოუკიდებლობის იდეისაც! „თვითეული ერის განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო არა მარტო მათი საკუთარი საქმე, არამედ მთელი დასავლეთ ევროპის დემოკრატიის საქმე. თვითეული ერის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ინტერნაციონალური საქმე იყო". ამგვარათ ერის სუვერენობისა და დამოუკიდებლობის დაცვა—ინტერნაციონალური ბრძოლაა და ამიტომაც თანამედროვე განვითარებული დემოკრატიის და სოციალდემოკრატიის მოთხოვნილებაა:—ერთი ერი—ერთი სახელმწიფო! და სოციალდემოკრატიისათვის ამას თავისი ღრმა აზრი აქვს: გზა სოციალიზმისაკენ ეროვნულ სახელმწიფოზე გადის. ეროვნული სახელმწიფო—

*) ამ წერილების ზოგიერთ თეორიულ დებულებებს რედაქცია არ იზიარებს.

# 7, 8 და 9 მარტი უმუშევართა დღეებია

დემოკრატიზმის საფუძველია. ჯერ კიდე შარშანწინ, როდესაც სოციალდემოკრატიული საზოგადოების თეორეტიკოსი კარლ კაუცკი რუსეთის განაპირა კუთხეების ეროვნულ მოთხოვნილებებს შეეხო,—მან სთქვა:—„(რომაულ) თვითეულ ასეთ ეროვნულ სახელმწიფოს შიგნით შესაძლებელია სრული, არა მარტო ფორმალური, არამედ დემოკრატიის ნამდვილი ბატონობა *)" და პროლეტარიატს კი მისი სიტყვით თავის უფლებათა მოსაპოვებლათ სხვა გზა არა აქვს გარდა დემოკრატიულისა. „დემოკრატია სასიცოცხლო აუცილებლობაა პროლეტარიატისათვის და დემოკრატიით იგი ისწრაფვის სოციალიზმისაკენ **)"-ო. ამის გამო: პროლეტარიატის პარტიის,—სოციალ. დემოკრ. მუშათა პარტიის პროგრამის ერთ მთავარ მუხლათ ყოველთვის იყო: ერთა თვითგამორკვევის პრინციპის დაცვა! სოციალდემოკრატია მუდამ მხარს უჭერდა ეროვნულ თვითგამორკვევის იდეას. ბრძოლას ეხლაც განაგრძობს განსათავისუფლებელ ერისათვის: რადგან: სოციალდემოკრატიის მიზნისკენ—გზა—გაივლის უსათუოდ დემოკრატიაზე და ამიტომაც: დემოკრატიის გაბატონება, დემოკრატიის სრულყოფა, მისი დაცვა სოციალდემოკრატიის დიდი და დიადი საქმეა: რადგან ეროვნულ სახელმწიფოშია შესაძლებელი დემოკრატიზმის განმტკიცება და მისი ბატონობა.

მაგრამ საერთოდ რომ ვსთქვათ: რა ძალები ამოძრავებენ ეროვნულ იდეას? ქ. კაუცკის სიტყვით: ეროვნულ იდეის განვითარებაში უფრო მეტათ და უმთავრესათ სამი ფაქტორია მომქმედი:

„პირველი: ბურჟუაზიის მისწრაფება, ესე იგი საქონლის მწარმოებელთა მისწრაფება, რომ უზრუნველ ჰყონ თავისთვის შინაური ბაზარი, ესე იგი დაკეტონ უცხო მრეწველთათვის თავისი საზღვრები და შეძლებისდაგვარათ გაიფართოვონ საგარეო ბაზარი, რასაც მოჰყვება საზღვარგარეთულ კონკურენციის წინაამდეგ ნაციონალური კაპიტალის გაერთიანება.

მეორე მომქმედი ფაქტორი: მისწრაფება პოლიტიკური თავისუფლებისადმი, დემოკრატიულ ფორმებისადმი, რომლის ეკონომიური წინასწარი სარჩული მე 19 საუკუნის განმავლობაში მეტათ ძლიერათ განვითარდა. ეს არის მისწრაფება ხალხის სრულ სუვერენობისადმი, ხალხის, რომელიც თავისუფლათ და დამოუკიდებლათ განაგებს თავის ბედს, ხალხის, რომელსაც არა სურს დაექვემდებაროს არავითარ ძალადობას, სულ ერთია, იქნება იგი რომელიმე პიროვნებისაგან, ან კლასისაგან, ან რომელიმე ერისაგან გამოწვეული.

ეროვნულ მისწრაფების მესამე საფუძველია: ეროვნული მეცნიერების და ლიტერატურის გავრცელება ხალხში. ეს მე-19 საუკუნესათვის მეტათ დამახასიათებელი მოვლენაა...

თანამედროვე ეროვნულ მოძრაობის ყველა ეს საძირკველი თანამედროვე საზოგადოების განვითარების პირობებშია დამკვიდრებული!

თანამედროვე ეროვნული იდეის ამ სამი ფაქტორის მატარებელია სამი სხვადასხვა კლასი. პირველი ფაქტორის მატარებელია—კაპიტალისტები; მეორესი—მუშათა კლასი; მესამესი—ინტელიგენცია".

დაჩაგრული ერის ეს სამი უმთავრესი მოძრავი და მომქმედი კატეგორია უფრესათ დაინტერესებულნი არიან ერის განთავისუფლებაში, მის სრულყოფაში და დამოუკიდებლობაში. მართალია: თვითეული კატეგორია ამ შემთხვევაში თავის კერძო მიზანს მისდევს, თავის კლასობრივ პოლიტიკას აწარმოებს, მაგრამ ამ მიზნის, ამ კლასობრივი პოლიტიკის განსახორციელებლათ ერთადერთი საშვალებაა პირველათ ყოვლისა ამ დამოუკიდებლობის მიღწევა, ეროვნული სუვერენობა, სახელმწიფოებრივ ეროვნული დამოუკიდებლობა! დაჩაგრული ერის ეროვნულ დამოუკიდებლობის იდეას მხარს უჭერს: როგორც ბურჟუაზია, ინტელიგენცია, ისე პროლეტარიატი. ამ პუნქტში ერთდება მათი ბრძოლის ხაზი, მხოლოდ მიზნის განხორციელების შემდეგ ეს ხაზები ერთმანეთს შორდება და შემდეგში იყ. ხება. ფაქტია: საქართველო—ეროვნული დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკაა!

რას ნიშნავს ეს? რა არის ეროვნული სახელმწიფო? „თუ ჩვენ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით განვიხილავთ მას,—მაშინ ვერ აღმოვაჩენთ ვერც ერთს ეროვნულ სახელმწიფოს, ესე იგი ისეთ სახელმწიფოს, რომელშიც წარმოდგენილი იქნეს მხოლოდ ერთი ერი. ინგლისში ერთი მილიონი ხალხი უელსის ენაზე და ნახევარი მილიონი ირლანდიულ ენაზე ლაპარაკობს. 1881 წლის აღწერით, საფრანგეთში სცხოვრობდა ერთი მილიონი ბრეტონელი, ნახევარი მილიონი იტალიელი, 200 000 ფლამანდელი, ეროვნულ სახელმწიფოს მცნებას ეხლანდელ დროში უახლოვდება—იტალია. მაგრამ ეროვნულ სახელმწიფოს შესახებ შეგვიძლია ვილაპარაკოთ აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ ერთი ერი დიდია, ვინემ მეორე იმავე სახელმწიფოში და უკანასკნელს აზრადაც არ მოსდის დაამხოს პირველის ბატონობა. ამგვარ გარემოებაში ერთი სახელმწიფოებრივი ენის ბატონობა მთავრობის ყველა დაწესებულებაში, კანონმდებლობაში, ჯარში, სასამართლოში და სხვაგან—ფაქტია, რომელიც თავის-თავათ იგულისხმება. სხვა ერები ამ შემთხვევაში შეიძლება უხერხულებას გრძნობდენ მაგრამ ამ ენის ბატონობის სამართლიანობას არ უარყოფენ".

სხვათა შორის: საქართველოში ეროვნულ უმცირესობებს ამ შემთხვევაში დიდი უპირატესობა აქვთ მინიჭებული! აქ მოყვანილ თვალსაზრისით რომ შევხედოთ საქართველოს,—ცხადია ერთი: საქართველო ნამდვილი ეროვნული სახელმწიფოა. მართლაც: „საქართველო—კლასიურათ დამთავრებული თავის საზღვრებში—თვითონ ბუნებისაგან გამოკვეთილ მიჯნებზე,—ჩამოქნილი ერთ ორგანიულ სხეულათ,—როგორც ბუნებრივი სამეურნეო-ეკონომიური მთლიანობით, ისე მრავალ საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და ისტორიულ კულტურული პირობებით,—ეს ქვეყანა ეთნოგრაფიულათაც დიდ ერთფეროვანებას წარმოადგენს. ეთნოგრაფიული მთლიანობის მხრივ საქართველო ბედნიერი გამონაკლისია კავკასიის სხვა ქვეყნებიდან: საქართველოში ქართული ელემენტი მოსახლეობის სამ მეოთხედს აღწევს. საქართველოში გარდა ქალაქებისა—ქართველობა შეადგენ 77.6% მთელი მოსახლეობისას, ხოლო ქალაქების მითვლით—72, 5% **). ვფიქრობთ, რომ ეს ციფრი დღეს საქართველოს სასარგებლოთაა შეცვლილი. ამგვარათ: სახელმწიფოებრივი სამი ელემენტი სავსებით ეროვნულია. ესე იგი: სახელმწიფო—ეს ადამიანთა კრებული, რომელიც სცხოვრობს ერთ განსაზღვრულ ტერიტორიაზე და იმყოფება ერთ საერთო მართველობაში,—სახელმწიფოს შემადგენელი სამი ელემენტი: ტერიტორია, ხალხი და მთავრობა,—ქართულია, ეროვნულია. და თუ მხედველობაში მივიღებთ: რომ ეროვნულ სახელმწიფოსადმი მისწრაფება იწყება თანამედროვე სახელმწიფოებრივი დემოკრატიისადმი მისწრაფებით და მჭიდროთაა მასთან დაკავშირებული,—აშკარა ხდება სრული სისწორე და სიჯანსაღე:—საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას.

საქართველო დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკაა—ეროვნულ ფარგლებში,—და ეს ფაქტია.

ვიქტორ ნოზაძე

*) იხ. კ. კაუცკი: „შუა ევროპის გაერთიანება".

**) იხ. კ. კაუცკი: „ეროვნული სახელმწიფო, იმპერიალისტური სახელმწიფო და სახელმწიფოთა კავშირი".

*) იხ. „საქართველოს ტერიტორიის შესახებ მოკლე სამახსოვრო ცნობა" გამოცემული კონსტანტინეპოლის კონფერენციის სახელმძღვ ნელოთ.

## ბაქოში

**პოლიტიკური და მუშათა ორგანიზაციების თათბირი.**

სამშაბათს, 5 მარტს, მოხდა შეერთებული სხდომა პროფესიონალურ საბჭოს კომიტეტის, მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმის და სოციალისტურ პარტიათა წარმომადგენლების.

ავტოკალონის და მეზღვაურთა საქმის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ჩურაევი, რომელიც თათბირს ამცნობს, რომ არც ერთი მუშათა კონფერენციის სახელით წარდგენილი მოთხოვნილება ინგლისის სარდლობის არ დაკმაყოფილებიაო.

მატროსები და სარდლობა დატყვევებულია; იარაღ აყრილ გემების რაზმებს და ავტოკალონის მუშებს ანგარიშს არ უსწორებენ, ისინი ეგზავნებიან გენერალ ერდს. ავტოკალონის, გრუზოვიკებს და ავტომობილებს პეტროვსკაში გზავნიან მოხალისეთა ჯარის განკარგულებაში.

მიიღო რა ყოველივე ეს მხედველობაში თათბირმა დაადგინა: მოწვეულ იქ ას სასწრაფოთ მუშათა კონფერენცია, არჩეულ იქნას გაფიცვის კომიტეტი, რომელიც წარუდგენს ინგლისის სარდლობას შემდეგ მოთხოვნილებებს:

1) დაუყონებლივ განთავისუფლებულ უნდა იქნან მატროსები. მათ უნდა მისცენ უფლება დაუბრკოლებლივ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლისა. შეწყვეტილ იქნას ყოველგვარი ჩხრეკა.

2) ინგლისის სარდლობამ სრულიად უნდა გაუწოროს ანგარიში და მისცეს სალიკვიდაციო ფულები იარაღ-აყრილ გემების რაზმებს და ნავთსადგურიდან ავტოკალონიიდან დათხოვილ მუშებს.

3) ავტოკალონიის ქონება დატოვებულ იქნას ბაქოში და გადაეცეს რუსეთის სახელმწიფოს სხვა ქონებებთან ერთად იმ კომისიას, რომელიც შესდგება რუსეთის დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან

4) ინგლისელები არ უნდა ჩაერიონ რუსეთის და აზერბეიჯანის შინაურ საქმეებში. თუ ეს მოთხოვნილებები არ იქნა დაკმაყოფილებული, იმ შემთხვევაში გაფიცვის კომიტეტს უფლება ეძლევა გამოაცხადოს საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა.

## პროფ. კავშირთა ცენტრალური საბჭო

7 მარტს საღამოს 6 საათზე შესდგა მორიგი სხდომა პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი. გაირჩა შემდეგი კითხვები: 1) დიდი რევოლიუციის ორი წლის თავი და დამფუძნებელ კრების გახსნის 12 მარტის დღესასწაულის მოწყობა, 2) სეპარატიული გამოსვლა ზოგიერთი პროფესიონალურ კავშირისა, 3) ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ და 4) მილიციონერების გაფიცვა. თავმჯდომარის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი სცა საბჭომ ახლად გარდაცვლილ ამხ. ა. ლ. თვალიაშვილის ხსოვნას. პირველი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბადრიძე, რის შემდეგ საბჭო ადგენს იდღესასწაულონ 12 მარტი და მისი მოწყობა მიენდოს სეკრეტარიატს. მეორე კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. შ. აბდუშელიშვილი. სხ ომა იღებს ამხ. ბადრიძის წინადადებას. მოისმინა რა საბჭომ სეკრეტარიატის განცხადება იმის შესახებ, რომ ზოგიერთი პროფეს. კავშირები მიუხედავად ცენტრალურ საბჭოს დადგენილებისა, სიეზდი მოეწყოს თბილისში, მაინც ფიქრობენ თავიანთ წარმომადგენლების ბაქოში გაგზავნას, დაადგინა, რომ ასეთ გამოსვლებს კავშირში შეაქვს დეზორგანიზაცია. საბჭო მოაგონებს კავშირებს თავის გადაწყვეტილებას და მოუწოდებს დისციპლინის დამორჩილებას. მესამე კითხვაზე მომხსენებლად გამოდის ამხ. ხელაძე. საბჭო ღებულობს ამხ. შ. აბდუშელიშვილის რეზოლუციას. ისმენს რა სეკრეტარიატის წარმომადგენლის მოხსენებას ქალაქის თვითმართველობას და მოსამსახურეთა უთანხმოების შესახებ და გაეცნო რა იმ პრაქტიკულ ზომებს, რაც მიუღია სეკრეტარიატს, ადგენს შემდეგს: საბჭო ადასტურებს სეკრეტარიატის მოქმედებას და კვლავაც ავალებს მას განაგრძოს მუშაობა ქალაქის მოსამსახურეთა სრულ დაკმაყოფილებამდე. გაფიცვის საკითხი სრულიად მოიხსნას, ვინაიდან აქამდე ქალაქის თვითმართველობაში მუშაობის შეჩერება დიდად შეაფერხებს ქალაქის მეურნეობა; დიდ ზიანს მიაყენებს მორალურად დემოკრატიას და ხეირს მისცემს მხოლოთ მის მტრებს.

ეკონომიური მდგომარეობა ქალაქის მოსამსახურეებისა საბჭომ ფრიად კრიტიკულად მიიჩნია, საჭიროდ სცნობს მიაქციონ ყურადღება, როგორც თვითმართველობის, ისე მთავრობისა ენერგიულად დაიცვან მათი სრულიად სამართლიანი, ეკონომიური და უფლებრივი მოთხოვნილებანი. კოლექტიურ ხელშეკრ. გარჩევა უნდა დაიწყოს არა უგვიანეს 15 მარტისა და დასრულდეს მარტის ბოლომდე. არბიტრაჟი შემოღებულ უნდა იქნას 15 მარტიდან. მეოთხე კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ჩხარტიშვილი. ცხარე კამათის შემდეგ საბჭო უარჰყოფს მილიციონერების გაფიცვას და ჰპირდება ენერგიულ ზომების მიღებას მათი სრული დაკმაყოფილებისათვის, მით უმეტეს, რომ ჯამაგირების მიცემა უკვე დაიწყო.

## ამხ. სანდრო თვალიაშვილის ხსოვნას

სანდრო თვალიაშვილი იყო ერთი იმ მუშათაგანი, რომელიც თავის მრწამსით [illegible] მუშათა კეთილდღეობას. იგი მუშაობდა ხეზედ მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირში დღიდან მისი დაარსებისა. ის იქნა არჩეული პროფესიონალურ საბჭოს წევრად. დაუნდობელმა სიკვდილმა არ აცადა მას თავის მოვალეობის პირნათლად შესრულება. ამხანაგების გულში დაუვიწყარი იქნება ამხ. სანდროს ხსოვნა. კავშირებმა დაკარგეს ერთი ენერგიული და წყნარი მუშაკი თავიანთ შორის, რომლებიც არც ისე ბევრი მოგვეპოვებიან. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ძვირფასო ამხანაგო!

ი. მ.

## სახალხო გვარდიისთვის

(წერ. რედ. მიმართ).

თფილისის მოქალაქემ არტემ პეტრეს ძემ პოგოსოვმა მესამე რაიონის სახალხო გვარდიის შტაბს ნიშნად პატივისცემისა, შესწირა ოც თუმნად ღირებული კედლის საათი და ოცი თუმანი ფულად შტაბში არსებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ფონდის გასაძლიერებლად;

სახალხო გვარდიის მესამე რაიონის მთელი შემადგენლობა შემომწირველს გულითად მადლობას უძღვნის.

შტაბის თავმჯ. განო ალიხანოვი.

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ მიიღოთ ჩვენ გმირ გვარდიელთა სასარგებლოთ შემდეგ ამხანაგთაგან გადებული წვლილი დანიშნულებისამებრ გადასაცემათ, რომელიც უდრის 200 მან. *) ლაბაური 15 მან., ბერიკაშვილი 10 მან., მიკ. არუტინიანცი 20 მან., ბაცინიანცი 10 მან., რუხელაშვილი. აგაბაბოვი 10 მან., ჯაფარიძე 25 მან., ივანე მახაშვილი 20 მან., ლორთქიფანიძე 25 მან., ნაცვლიშვილი 10 მან., ბაკურაძე 10 მან., ლიკოშვილი 10 მან., № 8 გვარდიელი 25 მან.

ამხანაგ. მინ. ლაბაური.

*) 200 მ. რედ. მიიღო.

## ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. ს. ს. დემოკრატიული პარტიის მესამე რაიონის კოლექტივის ბინაზე 5 მარტს შესდგა რამოდენიმე მოწინავე მუშების ავლაბრის რაიონში მცხოვრებთა კრება. პარტიული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. მესხიშ. მსჯელობის შემდეგ გამოირკვა, რომ რიცხვი კოლექტივის შემადგენლობაში, განსაკუთრებით ავლაბრელ ამხანაგებისა, საგრძნობლად შემცირებულა სხვადასხვა მიზეზების გამო. ვინაიდან კოლექტივი, როგორც ხელმძღვანელი ორგანო, შეადგენს უმთავრეს ძარღვს რაიონში მუშაობისას და მისი შესუსტება გამოიწვევს პარტიული მუშაობის შეფერხებას, თათბირმა გამოსთქვა აზრი: მიღებულ იქნას ყოველივე ზომები

# ერთი ქალის აზრები

**მოთხრობა.**

V

(დასასრული).

გუშინ სალდათები ლაპარაკობდენ ქუჩაში და მართალიცაა. ჩვენ, გლეხის შვილებიო, გავტყავდით ამ ომში, დავილუპეთ და ბურჟუები კი აქ ჯიბეებს იტენიან ჩვენის სისხლით; დღეს, როცა ნიკოლოზი ჩამოვაგდეთ, ასე გვიგონა გვეშველებოდა და გვეტყოდენ: აბა, ბიჭებო, მიდექით ახლა მდიდრებს, ჰკა მაგასო. ამის მაგიერ მოიცადეთ, ნუ ჩქარობთო და სხვა ასეთი ლაპარაკებით გვიმასპინძლდება მუშათა საბჭოო; ეს არ შეიძლებაო, ის არ ქნათ, ანახრია არ მოახდინოთო, კიდევ მოიცადეო...

ეს ხალხი პირდაპირ ბურჟუების დამცველიაო, უწინ პოლიცია იცავდა მდიდრებს, ახლა კი მუშათა საბჭოა თუ რაღაცაო, ყვიროდა მეორე სალდათი, რომელიც სულ გალეშილი იყო.

ამას რავა გამიწყრება ღმერთი და რავა დავიჯერებ—ჩემი ქმარი მდიდრებს როგორ დაიცავს, ე ხომ შეუძლებელია და ისეთ ბინძურ სალდათს სწორეთ ასე ბინძური რამე უნდა ეთქვა, მაგრამ.. მაგრამ სხვების ნალაპარაკევი კი, ცოდვა გამჟღავნებული სჯობია, სიმართლეთ მეჩვენება. ამ ომში სულ საწყალი ხალხი გაწყდა, გლეხები და მუშები, მდიდრები კი ქრთამებს ხარჯავდენ და შინ რჩებოდენ; ომიც თურმე ბურჟუების სასარგებლოდ ყოფილა დაწყებული, თურმე საწყალი ხალხი მოუტყუებიათ და ახლა, როცა ყველაფერი აშკარაზე გამოვიდა და ყველა ხედავს მდიდრების მუხანათობას, განა ისინი შესაბრალისია? განა უსამართლობა იქნება, რო ყველა ეს სალდათები ერთად მიესიონ მაღაზიებს და სულ დაარცვონ მდიდრები? ამაში მათ ვერც ღმერთი გაამტყუნებს და ვერც კაცი. შენი დრო როცა იყო, მაშინ ხომ არ მიბრალებდი და არ მზოგავდი, ახლა არც მე დაგინდობ, არც მე შეგიბრალებ!

ამას წინეთ სალდათებს ერთი მაღაზია გაეტეხათ და აყარებელი ფართალი და შაქარი ენახათ გადამალული; ბევრით და ყველაფერი ეს თითონ დაეყოთ. ეს გაეგო მუშათა საბჭოს და ერთი უბედურობა ატყდა, კინაღამ დახვრიტის ის საწყლები და ნივთებიც სულ ჩამოართვეს, ზოგი თურმე ციხეშიაც კი ჩაუსვამთ.

რას ერჩოდნენ საწყლებს, რა დააშავეს ისეთი? ღარიბი ხომ არ გაუძარცვავთ, საწყალისა ხომ არაფერი წაურთმევიათ! ისეთი კაცის მაღაზია გატეხეს, რომელსაც მილიონები აქვს. გატეხეს და კიდეც შეარგოთ ღმერთმა, ბურჟუას სისხლი დასალევი იყო და დალიეს. რაზე გაწყრა მუშათა საბჭო? მუშა და საწყალი ხალხი თუ რამეს შეიძენს, საბჭოს უნდა უწყინდეს?

ის ჩამორთმეული ფართლები და შაქრები თურმე მუშათა საბჭოს შენობაშია შენახული; გამიხარდა, როცა გავიგე ასეთი, ახლა კი მოიტანს ჩემი ქმარი რამესთქვა, მაგრამ შენც არ მომიკვდი, ერთი არშინი ჩითიც კი არ მოიტანა: ჯერაო არ იყოფებაო, არ დაგვიდგენიაო პირდაპირ ტირილი დავიწყე; კაცო, მეთქი, ვუბნები, შეგვხედე, ბალღები დაგვიტიტვლდა, მე ერთი ნაკაბიი მაქვს და მეტი არაფერი გამაჩნია. შენ მალე საცვლები არ გექნება და გეიხედე წინ, ისარგებლე რამეთქვა.

ეგ გაიძვერების საქმეო,—ამაყათ მითხრა, მე უკანონობას არ ჩავიდენ, რაც არ მერგება, არ შემერგებაო. ღმერთმა დალუპოს ის კანონი და ის სამართალი, რომელიც ასეთ უბედურებას აყენებს! ხვალ თუ მიაქვს, სხვა თუ მდიდრდება, მე რა დამიშავდება? მე რა ხატის მტეხელი შევიქენი! ჩვენთვისაა კანონი და იმათთვის არაა!

არა, ბატონო, საწყალი მუდამ საწყალი იქნება, გლახაკი მუდამ გლახაკი იქნება. ჩემი ქმარი შეჩვეულია ღარიბულ ცხოვრებას, პატარაობიდან გულ გატეხილი—ვერ გავმდიდრდებიო—წელ მოწყვეტილია და დღეს იმიტომაა, რომ გული არ მიუხარის სიმდიდრისკენ. ღმერთი შეუცოდე და, ვერც კი მოიხმარს რო მისცა! კაი ტანისამოსს და გალოტუკებს მოხმარა უნდა, მისი დახეთქილი ხელებით კი აბა რა უნდა მოიხმაროს! კაი ოთახში რო დააყენო, ვერც კი შეეგუება, შერცხვება; კრესლოებში და დივნებში განა მაგი ჩამოჯდება? კაი ცხოვრებას, მოხმარაც კი უნდა!

მე სულ იმაზე ვოცნებობ, როდის იქნება ჩვენს ხაზეინს ძირს ჩამოვაბრძანებთ და მე მის ტელეფონებში დავიწყებ ლაპარაკსთქვა, როდის იქნება, რომ მზეზე ავალთ და ჩვენც მდიდრულათ ვიცხოვრებთქო და ჩემი ვაჟბატონი კი ყურსაც არ იბერტყს. მგონი აზრათაც არ მოსვლია ეს. ხაზეინს ისე ეშინია ჩვენი, რომ რაც უნდა ვუთხრათ იმას იზამს, ახლავე ჩამოვყრით ძირს; სულ იმას მეკითხება—რა ამბავი მოიტანა სიმონმა მუშათა საბჭოდანო და მეც, იცოცხლეთ იმას ანგელოზებს უფრთხობ! მარა, რო არაფერი ასრულდა, ყველა სიტყვათ რო დარჩა! ასე უშვებიან მდიდრებს, ისე ითქვა, სულ ყველაფერს ჩამოართმევენ და მუშებს დაურიგებენ თქვა, ვეუბნებოდი, მარა ბოლოს რო არც ერთი არ შეიქნა! რო არაფერი არ ქნა მუშათა საბჭომ!

ამას წინეთ სიხარულით მითხრა: მუშათა საბჭოს ნება არ მიუცია სალდათებისთვის—ვაჭრების მაღაზიები არ გატეხოთო; შევატყვე, რომ ამას დაცინვით მეუბნებოდა და სულ ერთიანად ავივსე ზიზღით, მასაც ეშინია თავის მაღაზიის, ჯერ არ ალითქვა, ვეუხარი გულის გასახეთქადა,—სვიმონმა, მაგი კი არა, იმისთანები სთქვა, რომ კაცი ჭკუაზე შეიშლებათქო. ჩამაცივდა მითხარიო, მაგრამ ვერ შიართვეს. მაგას თუ გული არ მოუკალი და ჯავრით არ გადავერიო, ღმერთმა ნუ მაცოცხლოს! ახლა მპატიჟებს ჩაიზე, მაგ მუქთა ხორა მაგა! მანამდი ხომ სალამსაც არ მომცემდა და როცა პოლებს დამარეცხიებდენ, სუფთა საპნებს კი არ მომცემდენ, თავიანთ ნაჭამს და მონარჩენს წამომიგდებდენ. მახსოვს, ყოველივე მახსოვს, მალე მოგიპრობთ სიხარულს და თქვენს ადგილას ჩვენ ჩავდგებით. ჯერ არ გვაცადით? მოეწყოს ყველგან საქმე და მაშინ გიჩვენებენ სეირს. მუშები და გლეხები ასე იოლად არ გაუშვებენ თქვენისთანა სისხლის მწოვლებს. რო გაძვირეთ ყველაფერი და საქონელი გადამალეთ! მოითმინეთ, ვაჟბატონებო, თქვენი სისხლი, თქვენი! სალდათები იძახოდენ, სულ დავამტვრევთ აქაურობას, გამოვიტანთ ზარბაზნებს და ქვას ქვაზედ არ დავტოვებთო. მაგათი ჭირიმე მაგათი! საღ დაიმალებით მაშინ, ვერ ნახავთ? მაშინ კი შეგეხვეწებით—მიირთვით, ბატონებო, ხელმწიფებო, მთელი ჩვენი ქონება, ოღონდ ცოცხალი გაგვიშვითო! ბევრს იმღავლებთ, მარა ვინ შეგიბრალებენ, სულ ლორებივით აგჩეხავენ, თქვე წუწკებო, თქვენა!

VI

როდის იყო არ მახსოვს, სალდათს თავი არ დაეკრა აფიცრისთვის და მგონია კიდეც გალანძღა, შენ ასეთო და ისეთოო, ეთქვა ქალებში. ამაზე თურმე აფიცერს გული მოსვლია და სალდათი გალახა; ეს ამბავი სხვა სალდათებს გაეგოთ და აფიცერს მოკვლა დაუპირეს. აფიცერს აფიცრები მიემხრენ და შეიქნა დიდი ამბავი, სალდათები რადგან ბევრი იყვენ სულ შავი დღე დააყენეს აფიცრებს, კინაღამ ამოწყვიტეს, ჩინები დაალეწეს, კარკატები გადაუყარეს. ამაზე ჩამოვარდა სალდათებსა და აფიცრებს შორის მტრობა და ყველა აფიცრებ ჩინი აყარეს და სალდათს გაუთანასწორეს.

ეს ამბავი მუშათა საბჭოს წყენოდა, ასე არ შეიძლებაო და სალდათებს უბრძანეს—ასე ნუ მოექცევით აფიცრებსო, გამლახველები კიდეც დაუჭირავთ და ციხეში ჩაუსვამთ.

მე რომ მკითხოს კაცმა ესეც დიდი უსამართლობაა. თუ ერთობაა, ყველა ერთი უნდა იყოს, რის აფიცრები და რის სალდათი? მერე, განა აფიცრები არ იყვენ, რომ სალდათებს ტანჯავდენ და აწვალებდენ, განა ისინი არ მიერეკებოდენ საწყლებს სასიკვდილოთ? სალდათზე გაწვალებული და უბედური ვინ იყო? ყველა ეს აფიცრების ბრალი იყო. და ახლა, როცა სალდათებს დრო დადგა, არ უნდა გადაუხადონ სამაგიერო? ვინც მე გუშინ მტანჯავდა, ისე დღეს მე უნდა დავტანჯო. ახლომამდით თუ აფიცრები იყვენ უფროსი და ბატონები, აწი სალდათებმა უნდა იბატონონ და იუფროსონ. გუშინ აფიცრები აწვალებდენ სალდათებს, დღეს სალდათებმა უნდა აწვალონ აფიცრები. შენს მტერზე შური თუ არ იძიე, ისე როგორ შეიძლება, მაშინ ლაჩარი იქნები, გლახაკს დაგიძახებენ, ყველა დაგიჯაბნებენ და ფეხქვეშ გაგთელავს.

ვაჟბატონები, აბა როგორ ეგონათ, რომ უღმერთოდ აწვალებდენ საწყალ სალდათებს! სულ ყველა აფიცერი გასაწყვეტია! მოიხადონ პაგონები და სალდათებს გადასცენ, აწი სალდათები დაიკერებენ, ვნახოთ აბა მაგინზე ნაკლებათ თუ დაიშვენებენ და შეიშნობენ! ის ძვირფასი შანელები რო აქვთ, ისიც აქეთ მოგვცვარონ და იმათ სალდათის ფარაჯები ჩაიცვან. მაშინ ნახვენ როგორი ყოფილა სხვისი დაჯაბნება და ტანჯვა.

გლახა არაფერი თქვაო, არავის აწყენიოო, ყველას თავდაბლად მოექცაო, ეგია ახალი დროო? მანამდისაც ასე არ ვიყავით? ყველასი ჩვენ გვეშინოდა, ყველას წინ ვკანკალებდით, ყველას ბატონის და ხელმწიფეს ვეძახდით, თავისუფლებაო, რო იძახიან, აბა რისი თავისუფლება იქნება, თუ ჩვენს ნებაზე ვერ ვიქნებით და ძველებურათ ხელ ფეხ შეკრული გავჩერდით? აბა, სულ ტყუილი ყოფილა ეს თავისუფლება, ტყვილა სიტყვის ლაპარაკი ყოფილა და სხვა არაფერი.

ჩემს ქმარს ვუთხარი ასე და მითხრა, რომ თავისუფლება იმას ქვია, რომ სხვას არ უქნა რამე გლახა, შენს თავს კი რაც უნდა ის უქნიო. კარგი და პატიოსანი, მარა თუ ის კაცი არ მაყენებს მე და მაწვალებს, მაშინ რა ვქნა, მაშინ კიდო არ ვაგნო? რაზე აწვალებდენ აფიცრები უწინ სალდათებს? რაზე გვჭირავდა პოლიცია? რისთვის გვწოვდენ სისხლს ვაჭრები? მიდი შენ და ასეთ ხალხს ნურაფერს ავნებ, არაფერი აწყენინო, არ მიაშიო, არ მოაწყურო, არაფერი დაუკარგო, ძველი პოლიციის მაგივრათ ახალი სხვა მცველები მიუყენე! კარგია თქვენმა მზემ! სულ ტყვილი ყოფილა აბა ამ ახალთაობის ნალაპარაკევი, ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ. რა თავისუფალი ვარ, თუ ბაწარს მაინც არ შემხსნი! ეხ, საწყალი კაცი, მაინც საწყალი იქნება, მისი შემბრალე არავინ არაა!

ბევრი რაღაც მესმის ახალთაობის შესახებ, ბაზარში რო გავდივარ პროვიზიის საყიდლათ, ყველა ემდურის: ასე გაგვიძვირეს ყველაფერიო, პურსა და ნიახური რაა—ისიც კი სანატრელად გაგვიხადესო; საწყალი ხალხი არ ებრალებათ, ტყვილა გვიხვევენ თავს ლამაზი სიტყვებითო. მე, რასაკვირველია, ჩემს ქმარს რავა შევარცხვენ და სხვის გასაგონად ახალთაობას როგორ ვაგინებ, პირიქით სულ იმას ვეუბნები ქალებს—ნუ გეშინიათ ყველაფერი გაკეთდება, მუშათა საბჭომ ასე გადაწყვიტა და ისე თქვა, მაგრამ გულში რო ჩავიხედავ, ვატყობ, რომ ბევრი მართალს ამბობენ.

საწყლები. ის თქვენი მუშათა საბჭოა თუ რაღაცაა ეშმაკია, სულ ამოსაწყვეტიაო, წამოიძახა ერთმა ქალმა, მე რო ასე ვლაპარაკობდი. იგია რომ საწყალ ხალხს არ აძლევს თავისუფლებას და აწყლულებსო. გულში მეც მისი თანახმა ვიყავი რაღაც, მაგრამ შესახედავად მაინც ისეთი დავუცაცხანე რომ... აი შე ნიკოლოზის მომხრე, შე ხულიგანო, შე რეაქციონერო, ახლავე მილიციონერს დავაჭერინებ შენს თავს, ჩემი ქმარი მუშათა საბჭოს წევრი გახლავს თქვა.

ეს რომ გაიგონა, საწყალმა, ისე შეშინდა, რომ ენა ჩაუვარდა და მაშინვე გაიპარა. სხვა ქალებმა კი ყოჩაღ, ყოჩაღო მითხრეს. ჩემი ქმარი რო გაიგონებს,

